

კომერციული საიდუმლოება თეორია და პრაქტიკა

ნებისმიერი კომპანიას, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა ის ბიზნესოლიმპოზე თუ მხოლოდ ახალი დაწყებული აქვს საქმიანობა, გააჩნია თავისი ნოუ ჰაუ ან უნიკალური საიდუმლო ბიზნესწარმატების მისაღწევად. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს საქმიანობის წარმართვის ორიგინალური ხერხები, მეორე შემთხვევაში მომსახურების ან წარმოების ექსკლუზიური მეთოდები, მესამე შემთხვევაში კი ეს შეიძლება იყოს – სპეციფიკური მარკეტინგული საქმიანობა, რომელიც მიმართულია კომპანიის პროდუქტის გაყიდვისაკენ. ყველა კომპანიას აქვს საკუთარ გამოცდილება ბიზნესის წარმოებაში და ფლობს საკუთარი ბიზნესის წარმართვის უნიკალურ ხერხებსა და მეთოდებს, რაც ხელს უწყობს მის წინსვლასა და წარმატებულებას.¹ რა თქმა უნდა – კომპანია – რომელიც ფლობს ამ ტიპის ინფორმაციას, მუდმივად იმყოფება კონკურენტებისაგან დაკვირვების ქვეშ, რათა მათ შეძლონ ამ ინფორმაციის მოპოვება და საკუთარი მიზნებისათვის მისი გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები ცდილობენ საკუთარი კომერციული საიდუმლოების დაცვას, მათ მაინც უწევთ ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებასთან ურთიერთობისას მათი კომერციული საიდუმლოების გადაცემა ან გაცნობა, რომელიც საჯარო დაწესებულების თანამშრომელთათვის თავისმხრივ წარმოადგენს პროფესიულ საქმიანობას. ეს კი ზრდის ინფორმაციის გამჟღავნების ალბათობას. ამადროულად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირ შემთხვევაში საჯარო ინტერესები სხადავს კერძო ინტერესს და შესაბამისად ესა თუ ის ინფორმაცია აუცილებელია, რომ ცნობილი გახდეს საჯარო დაწესებულებისათვის, მაგრამ გარდა კომპანიებისა, რომლის ინტერესშიც შედის ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა თვით საჯარო დაწესებულებებიც უნდა უზრუნველყოფდნენ მის დაცვას, თუ ეს მხარისათვის წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას.

ზოგადად საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ინფორმაციის მიღების კონსტიტუციური უფლების შემადგენელი ნაწილია და გარანტირებულია კონსტიტუციის 24.1 მუხლით.

¹ Кульков М.А., Виноградов А.А. ЧТО ТАКОЕ КОММЕРЧЕСКАЯ ТАЙНА И КАК ЕЕ ЗАЩИТИТЬ? Ст. 2.

ლევან მოსახლიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი,
კავკასიის უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

თუმცა აღნიშნული მუხლი ზოგადი სახისაა და ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებასთან ერთად ასევე მოიცავს აზრის გამოთქმისა და გავრცელების უფლებას. შესაბამისად, მასში კონკრეტულად არ გამოიყოფა ინფორმაციის მიღების უფლების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რომელშიც, რა თქმა უნდა, იგულისხმება კომერციული ინფორმაცია (მათ შორის კომერციული საიდუმლოებაც).

ის, რომ ინფორმაციის მიღების უფლება კონკრეტულად არ მიუთითებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, არ ნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხი კონსტიტუციური რეგულირების მიღმა დარჩენილი. ამ საკითხს პირდაპირ აწესრიგებს კონსტიტუციის 41.1 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლები კიდევ უფრო დაკონკრეტებულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსშიც, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს საქართველოში.

ზოგადი განმარტების კომერციულ საიდუმლოებად ითვლება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც აქვს კომერციული ღირებულება ანუ ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის პროცესის, ფორმულის სახის და ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას, მომსახურების გაწევას, ეს ინფორმაცია შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. კომერციული საიდუმლოე-

ბაა აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.²

komerciuli saidumloebis cnebas saqarTvelos kanon-mdeblobaSi gansazRvavs saqarTvelos zogadi administraciuli kodeqsis 27² muxli. კომერციულ საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნონ ის ცნობები, რომლებიც შეიცავენ განსაზღვრულ ნიშნებს:

შესაძლებელი უნდა იყოს მისი გამოყენება საჭიროების საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და უნდა წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, ან როდესაც, შესაძლოა, მისმა გამჟღავნებამ ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

თუ კონკრეტული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოდ მიჩნევის ვალდებულებას რომელიმე კანონი ცალსახად არ ადგენს, ინფორმაციის მფლობელს თავად შეუძლია ამა თუ იმ მონაცემების წარდგენასთან ერთად მოითხოვოს მისი გასაიდუმლოება.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია მონაცემების (დოკუმენტის) გასაიდუმლოების მოთხოვნა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საჯარო დაწესებულებამ ჩათვალა, რომ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილიდან ვერც ერთ კრიტერიუმს და შესაბამისად - არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, იგი იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დოკუმენტის გასხნის (ლიაობის) თაობაზე. აქტი ძალაში შედის 15 დღის შემდეგ, თუ ინფორმაციის მესაკუთრემ არ გაასაჩივრა იგი ზემდგომ საჯარო დაწესებულებაში ან სასამართლოში.

დოკუმენტს ვერ მიენიჭება კომერციული საიდუმლოების გრიფი, როცა მისი მესაკუთრე არის ადმინისტრაციული ორგანო, რადგან: „ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას“⁴.

კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უკაოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად გამოცხადდება, თუ მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული.

ნებისმიერი პირის მიერ საჯარო დაწესებულებიდან სხვისი კომერციული საიდუმლოე-

ბის მოთხოვნის ფაქტი უნდა გამოქვეყნდეს საჯარო რეესტრში. კერძოდ, რეესტრში შეიტანება მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი, როდის და ვის მიერ, აგრეთვე ინფორმაციის მომთხოვნი პირის მისამართი.

სასამართლო პრაქტიკა კომერციულ საიდუმლოების შესახებ საქმეების მხრივ საკმაოდ ერთგვაროვანია. საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმეზე „არასამათავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ იმსჯელა ინფორმაციის მატერიალური შემცველობის გამო მის კომერციულ საიდუმლოებად აღიარების თაობაზე.⁵ საქმე ეხებოდა დაგას პრივატიზაციის პროცესში სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივებისა და შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის „G.M GEORGIAN MANGANESE HOLDINGS LIMITE“-სათვის გაცემის შესახებ დადებული ხელშეკრულების ასლების გაცემას. ეს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ არ იქნა გასაჯაროებული იმ მოტივით, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას. მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ამტკიცებდა, რომ სადავო ხელშეკრულებები არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას, თუნდაც იმ მოტივით, რომ ისინი შეიცავენ გარემოსა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას,

რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში გააანალიზა სზაკ-ის 27² მუხლით დადგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნები, იმავდროულად, განმარტა ამავე კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნა, ანუ იმ ინფორმაციათა კატეგორიები, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია (მათ შორის გარემოს შესახებ ინფორმაცია) და დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ „მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას და დადასტურებულად მიაჩნია, რომ სხენებული ხელშეკრულება შეიცავს გარემოს შესახებ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია.“⁶

⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი №27².

⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი კოლეგიის 2007 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1072-07.

ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმეზე “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ” საქმეზე ეხება ნორმატიული აქტის ნაწილის ბათილად ცნობას, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტს, რომლის თანახმადაც: “აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.”

სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დაკმაყოფილების ნაწილში სასამართლომ განმარტა, რომ ნორმატიული აქტის ჩანაწერი: მათ შორის ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად, რადგან მისი ასეთად მიჩნევისათვის იგი “აუცილებლად უნდა შეიცავდეს სხაკის 27² მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ნიშნებს, რომელთაგან ერთ-ერთ არსებით საფუძველს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეს ინფორმაცია კომერციული ფასეულობის შემცველია, რომლის გამჟღავნებამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სხვა პირის კონკურენტუნარიანობას, თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობისათვის საფრთხის შექმნა ნიშნავს სუბიექტის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნის სამომხმარებლო ბაზარზე.”⁷ სასამართლომ, რომელმაც იმსჯელა პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობაზე და ამ პროცესის ფარგლებში ინფორმაციის გასაიდუმლოების განსაკუთრებული დასაბუთებულობის ვალდებულებაზე, ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ცნო ბათილად.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მეორე ნაწილს, კერძო პირის ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის თანაფარდობაზე მსჯელობისას სასამართლომ აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაციის დაცვის პრიმატი განსაზღვრა იქიდან გამომდინარე, რომ კერძო პირის ინტერესები - გაიმარჯვოს კონკრეტულ აუქციონში, ძალზე მაღალია და ამიტომ აღნიშნუ-

⁶ იხ. იქვე.

⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/684-07.

ლი გასათვალისწინებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად, “თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობისათვის საფრთხის შექმნა ნიშნავს სუბიექტის შესახებ იმგვარი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნის სამომხმარებლო ბაზარზე.”⁸

მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა შორის დავას იწვევს ის საკითხი, შეიძლება თუ არა მივაკუთვნოთ საგადასახადო საიდუმლოება კომერციულ საიდუმლოებას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, “საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას.”⁹

ზოგი მეცნიერისა და პრაქტიკოსი იურისტის აზრით, “საგადასახადო საიდუმლოების” ცნება ძალზე ზოგადი ხასიათისაა და იგი შეიძლება ერთდროულად მოიცავდეს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული დასაცავი ინფორმაციის ნებისმიერ სახეს და ასევე, სცდებოდეს კონსტიტუციით დადგენილ ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს. თუმცა იურისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ კომერციული საიდუმლოების კრიტერიუმებს და აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოება არ ხდება ამავე კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ განმარტა: “საგადასახადო საიდუმლოებად საგადასახადო ორგანოში გადამხდელის შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება მექანიკურად იქნეს განხილული როგორც კომერციული საიდუმლოება, რამდენადაც ყოველი გადასახადის გადამხდელი არ არის კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის მესაკუთრე, როგორც ეს გამომდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^{2.3} მუხლის შინაარსიდან, მით უმეტეს, იმ პირობებში, რომ ტერმინ “საგადასახადო საიდუმლოება-

⁸ იქვე.

⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 39.

ის” დეფინიცია არ შეიცავს დათქმას კომერციულ საიდუმლოებაზე, როგორც საგადასახადო საიდუმლოების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტზე.”¹⁰

სასამართლომ არ გამოიციხა საგადასახადო ორგანოში დაცული ინფორმაციის კომერციული შინაარსის შემცველობა, თუმცა მხოლოდ ამ კრიტერიუმის არსებობა არ მიიჩნია საკმარის გარემოებად აღნიშნული საიდუმლო ინფორმაციის ღიაობისათვის. აქ იგულისხმება კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის ცნობისათვის დადგენილი პროცედურების დაუცველობა. უფრო მეტიც, სასამართლოს არგუმენტაციით, “მოცემული ნორმის დანაწესი ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ კანონმდებელმა საგადასახადო სამსახურებსა და გადასახადის გადამხდელთა შორის ურთიერთობები, მათი უფლება-მოვალეობები ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით მოაწესრიგა განსაკუთრებულად, როგორც სპეციალური ურთიერთობა, სადაც ცალმხრივად დაუდგინა დაწესებულებებს წარდგენილ ინფორმაციათა დაცვის ვალდებულება.”¹¹ სასამართლომ დაადასტურა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ინფორმაციის გასაიდუმლოების ფართო კრიტერიუმების არსებობა, რაც საგადასახადო საიდუმლოების დეფინიციის კონსტიტუციასთან შესაბამისობის მსჯელობის საგანია.

საგადასახადო კოდექსის ამ მუხლის კონსტიტუციურობის შესახებ იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომლის აზრითაც, “საგადასახადო საიდუმლოების არსში წვდომისათვის, საჭიროა შეფასდეს, თუ რამდენად წარმოადგენს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია თვისობრივი ნიშნით ან ნიშნებით მსგავსი ინფორმაციის ერთიან კომპლექსს. აქედან გამომდინარე, გაირკვევა, არის თუ არა შესაძლებელი საგადასახადო საიდუმლოებაში თავმოყრილი ინფორმაციის მიმართ ერთიანი კონსტიტუციურსამართლებრივი მიდგომისა და შეფასებების ჩამოყალიბება.”¹²

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის უფლებას, მოიპოვოს ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ.”¹³ ხოლო „საგადასახადო

საიდუმლოებად“ ინფორმაციის კვალიფიცირებისთვის ადგენს კრიტერიუმს, რომ „ინფორმაცია უნდა იძლეოდეს კონკრეტული გადასახადის გადამხდელის იდენტიფიკაციის საშუალებას.”¹⁴

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში საკმაოდ ცალსახადაა გაცხადებული, რომ სასამართლო “არ გამოიციხავს, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებულ ინფორმაციას, იმავდროულად, ჰქონდეს კომერციული ან სახელმწიფო საიდუმლოებრივი ფასეულობა“, მაგრამ, ამავედროულად, ამბობს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს იმის გაანალიზება და გადაწყვეტა, მიეკუთვნება თუ არა გადასახადის გადამხდელის შესახებ კონკრეტული მონაცემები საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საიდუმლოების რომელიმე სახეს”¹⁵.

საგადასახადო საიდუმლოება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კომერციული საიდუმლოება. საგადასახადო საიდუმლოება მოიცავს არა მხოლოდ კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, არამედ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც სამართლებრივი აქტების შესაბამისად არ განეკუთვნება კომერციულ საიდუმლოებას (მაგალითად, როგორიცაა ინფორმაცია გადახდისუნარიანობის შესახებ, გადახდილი გადასახადების შესახებ და ა. შ.).

თუმცა საგადასახადო კოდექსის განმარტების თანახმად, საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება მხოლოდ გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული ინფორმაცია, რაც ზემოაღნიშნული მუხლის ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ. ვინაიდან საგადასახადო საიდუმლოების რეჟიმი მოიცავს აგრეთვე საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სუბიექტების, მაგალითად, საგადასახადო აგენტის, საბანკო დაწესებულების, გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის და სხვა პირის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებულ ინფორმაციას. აღნიშნულ პირებს სრული უფლება აქვთ საგადასახადო ორგანოსაგან მოითხოვონ მათ შესახებ მიღებული ინფორმაციის დაცვა. ამკარაა, რომ აღნიშ-

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-623-590(კ-06).

¹¹ იქვე.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 2/3/406,408, ნაწილი II პარაგრაფი 6.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 2/3/406,408, ნაწილი II პარაგრაფი 21.

¹⁴ იქვე ნაწილი II პარაგრაფი 26.

¹⁵ იქვე ნაწილი II პარაგრაფი 29.

ლევან მოსახლიშვილი

ნული პირების მიმართებით საჭიროა ანალოგიის გამოყენება.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ეს საკითხი კიდევ დიდხანს დარჩება მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა დავის საგნად;

საქმეზე “ელენე ნიჟარაძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წინააღმდეგ” მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხეს ევალბოდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში 2000, 2001 და 2002 წლების მდგომარეობით რეგისტრირებულ მსხვილ გადასახადებზე რაოდენობის და მათ მიერ ერთიანად გადახდილი გადასახადის საერთო რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გაცემა, სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა შემდეგი მოტივით: “მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია რომელიმე კონკრეტული გადასახადის შესახებ საიდუმლო მონაცემებს არ შეიცავს, იგი ზოგად საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.”¹⁶ სასამართლოს ამგვარი განმარტება მოთხოვნილ ინფორმაციაზე სრულიად შეესება მება

კანონის როგორც ძველ, ასევე ახლანდელ რედაქციას.

კონკრეტული იურიდიული პირის ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ “საგადასახადო საიდუმლოებად” მიიჩნია, რადგან აღნიშნული ნამდვილად წარმოადგენდა გადასახადის გადახდელის შესახებ ინფორმაციას და “მისი გაცემა თავად გადასახდელის – შპს “ოქროს საწმისის” თანხმობის გარეშე არ დაიშვებოდა.”¹⁷

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ კომერციული საიდუმლოება, როგორც საჯარო დახურული ინფორმაციის ერთ-ერთი სახე, სათანადო დაცვას საჭიროებს. ვინაიდან, ნებისმიერი კომერციული საქმიანობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმ ინფორმაციული ნაკადების მართვაზე, რომელსაც ფლობს ესა თუ ის ორგანიზაცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი ინფორმაციაც წარმოადგენს საქონელს, შესაბამისად, მისი მიღება, დაცვა, გავრცელება და გამოყენება ექვემდებარება ფულად-სასაქონლო ურთიერთობის კანონებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ლიტერატურა

1. ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, საია, 2007 წ.
2. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, პაატა ტურავა, ნათია წიკაძე, თბილისი, 2010.
3. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, III ნაწილი, თამარ კორძაია, საია, 2008 წელი.
4. სოლიდარობა 9(18),– სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2007.
5. Кульков М.А., Виноградов А.А. ЧТО ТАКОЕ КОММЕРЧЕСКАЯ ТАЙНА И КАК ЕЕ ЗАЩИТИТЬ? Москва. 2010

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის განჩინება №ბს-210-163-კ-05 საქმეზე “ელენე ნიჟარაძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წინააღმდეგ”.

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-70-67(კ-06).

მენეჯმენტი და მარკეტინგი

ნორმატიული აქტები

6. საქართველოს კონსტიტუცია;
7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

სასამართლოს გადაწყვეტილებები

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის განჩინება №ბს-210-163-კ-05 საქმეზე “ელენე ნიუარაძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წინააღმდეგ”.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-70-67(კ-06).
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-623-590(კ-06).
12. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე 3/684-07.
13. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი კოლეგიის 2007 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3/1072-07.
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № 2/3/406,408.

THEORY AND PRACTICE OF COMMERCIAL SECRECY

LEVAN MOSAKHLISHVILI

PHD of GTU,

Assistant Professor of Caucasus University

As the title shows Presented article deals with the legal concept of commercial secrets. The article reviews the practice of judicial protection of commercial secrets from the receipt of the Administrative Code till today. This article estimates converging points of commercial secrets and tax secrets, as well as differences between these two concepts. The article discusses the decision of the Constitutional court related with commercial secret.

КОММЕРЧЕСКИЕ СЕКРЕТЫ, ТЕОРИЯ И ПРАКТИКА

ЛЕВАН МОСАХЛИШВИЛИ

Докторант ГТУ

Как видно из заголовка данная статья посвящена вопросу коммерческой тайны в законодательстве Грузии. В статье рассмотрена судебная практика с целью защиты коммерческой тайны с даты принятия общего административного кодекса Грузии по сегодняшний день. Проведена оценка разницы между коммерческой и налоговой тайнами. Так же рассмотрено решение конституционного суда по вопросу коммерческой тайны.